

სულფიდური მადნებიდან და მათი ნამწვიდან დარიშხანის გამორეცხვის დინამიკა

ნუნუ ლაბარტყავა

ekolab@yandex.ru

ქიმიის დეპარტამენტი, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის 3, თბილისი

ანოტაცია

გარემოს გამაბინძურებელ პრიორიტეტულ ელემენტთა შორის მნიშვნელოვანია დარიშხანის როლი, რაც მისი და მისი ნაერთების ტოქსიკურობით, მიგრაციისა და ტრანსფორმაციის გზების მრავალფეროვნებით აიხსნება.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დარიშხანი ფართოდ გამოიყენებოდა ტექნიკასა და მედიცინაში. საქართველოში სრული დატვირთვით მუშაობდა დარიშხანის მადნების გადამამუშავებელი 2 ქარხანა: ურავის (ზემო რაჭა, ამბროლაურის რ-ნი) და ცანის (ქვემო სვანეთი, ლენტეხის რ-ნი). მაგრამ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად დარიშხანის გამოყენების აუცილებლობა მოიხსნა. თუმცა, მისი სულფიდური მადნები და წარმოების ნარჩენები კვლავ რჩება გარემოს გაჭუჭყიანების ლოკალურ, მაგრამ მძლავრ წყაროდ.

კერძოდ, მდ. ლუხუნის ხეობაში, სულფიდური მადნების გამოსაწვავი საამქროს ტერიტორიაზე დაგროვებულია დაახლოებით 65-70 ათას ტონამდე ნამწვი, რომელშიც საორიენტაციო შეფასებით 1500 ტონამდე დარიშხანი და 400 ტ ანთიმონია აკუმულირებული. ნამწვის ნარეცხი წყლები ჩაედინება მდ. ლუხუნში და მისი დაბინძურების ერთ-ერთი მუდმივმოქმედი წყაროა.

დაბინძურების წყაროს რაოდენობრივი შეფასების მიზნით შევისწავლეთ ნამწვიდან დარიშხანის გამორეცხვის დინამიკა და პროცესზე მოქმედი ფაქტორების გავლენა. აგრეთვე განსაზღვრულ იქნა ნარეცხ წყლებში ნორმირებული ელემენტების შემცველობა.